

## სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა აცხადებს ვაკანსიას

ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახური -  
იურისტი (შტატგარეშე თანამშრომელი)




### სამუშაო აღწერილობა:

- სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა;
- საქმისწარმოების ელექტრონულ პროგრამაში კორექციონდენციის გაცნობა და შემდგომი რეაგირება;
- კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებების შესრულება;
- კომპეტენციის ფარგლებში, სხვადასხვა ბრძანების პროექტების განხილვა-მომზადება;
- დაკისრებული მოვალეობების შესრულება საქართველოს კანონმდებლობისა და მართვის სისტემის შიდა დოკუმენტების შესაბამისად;
- მართვის სისტემის სახელით სასამართლო პროცესებში მონაწილეობა;
- კომპეტენციის ფარგლებში სხვადასხვა დოკუმენტების პროექტების განხილვა-მომზადება;
- მართვის სისტემის საქმიანობასთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობის მოძიება და ცოდნის მუდმივი ამაღლება.

### ძირითადი მოთხოვნები:

- მინიმალური განათლება: ბაკალავრი
- სამუშაო გამოცდილება: 5 წელი
- სამართლებრივი აქტების ცოდნა:
  - საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
  - საქართველოს შრომის კოდექსი;
  - საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“;
  - საქართველოს კანონი „უმადლესი განათლების შესახებ“;
  - საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“;
  - საჯარო სამართლის იურიდიული პირის პროფესიულ კოლეჯ „აიტის“ რეორგანიზაციის გზით საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №229/ნ;
  - „საქართველოს საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს წევრების არჩევის, მათთვის უფლებამოსილების შეწყვეტისა და რეგისტრაციის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 17 იანვრის №30 ბრძანება;
  - „საჯარო სკოლის დირექტორის, დირექტორის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში – მისი მოვალეობის შემსრულებელი მოადგილის ან მოვალეობის სხვა შემსრულებლის რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 07 ნოემბრის №147/ნ ბრძანება.

## დამატებითი მოთხოვნები:




-  სამუშაო გამოცდილება - მინიმუმ 5 წელი;
-  სასურველია ჰქონდეს გამოცდილება შემდეგ სფეროებში: ინფორმაციულ ტექნოლოგიები, მენეჯერული, პროექტებისა და მართვის სტანდარტების დანერგვა;
-  სერტიფიკატები - სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ISO), სტანდარტიზაციის ბრიტანული ინსტიტუტის (BSI) ან ინფორმაციული სისტემების აუდიტისა და კონტროლის ასოციაციის (ISACA) მიერ გაცემული სერტიფიკატი ინფორმაციული უსაფრთხოების დარგში; IT Infrastructure Library (ITIL) ექსპერტის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

## კომპიუტერული პროგრამები, ოპერაციული სისტემები










Microsoft Office Word ძალიან კარგი

Microsoft Office Excel ძალიან კარგი

## დამატებითი ინფორმაცია

-  ადვოკატის სერტიფიკატი სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით;
-  სასურველია კანდიდატს ჰქონდეს იურისტად მუშაობის არანაკლებ ორწლიანი გამოცდილება;
-  უპირატესობა მიენიჭება საჯარო სამსახურში მუშაობის გამოცდილებას.

## პიროვნული თვისებები

-  ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნების უნარი;
-  ორგანიზებულობა და პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა;
-  კომუნიკაბელურობა და გუნდური მუშაობის უნარი;
-  ყურადღების კონცენტრირების მაღალი დონე;
-  საქმიანი ურთიერთობების წარმოების უნარ-ჩვევები;
-  სამუშაოს ვადების განსაზღვრისა და მისი ეფექტური მართვის უნარი;
-  სიახლეებისა და ცვლილებების დროულად მოპოვების და პროფესიულ საქმიანობაში შესაბამისად დანერგვის უნარი;
-  სასურველია ინგლისური ენის ფლობა;
-  საქმიანი წერილობითი კომუნიკაციის უნარი.

## კონკურსის ეტაპები

- განცხადების გადარჩევა
- გასაუბრება

## გადაწყვეტილების მიღების ფორმა და ვადა

გადაწყვეტილება მიიღება კომისიის ხმათა უმრავლესობით, აპლიკაციების მიღების ვადის ამოწურვიდან, არაუგვიანეს 3 (სამი) თვეში.

---

*დაინტერესებულ კანდიდატებს გთხოვთ, გამოაგზავნონ CV საჯარო სამსახურის ბიუროს ოფიციალური ვებ - გვერდის ([www.hr.gov.ge](http://www.hr.gov.ge)) საშუალებით.*

***განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 2016 წლის 29 ივნისი***

*გამოქვეყნებულია 20.06.2016*